

სარგი ჯიქია

მაცუვანის და აბანის თურქულ საბუთებში

როგორც ცნობილია, ვახტანგ მეფე 1724 წელს თავის ოჯახითა და ამალითურთ მოსკოვს გაემგზავრა. 1723 წელს ოსმალებმა დროებით (1723-1735), მაგრამ კვლავ ჩაიგდეს ხელში ქართლი და შეეცადნენ დაემყარებინათ აქ ოსმალური სახელმწიფოებრივი წესები¹. ჩილდირის ვილაიეთის ვაზირი (ახალციხის საფაშოს მმართველი) ისპაჰ ფაშა შეთავსებით გადმოყვანილ იქნა თბილისში და თბილისის ვილაიეთის მართვაც მას დაეკისრა². ამ დროს, რომელიც საქართველოს ისტორიაში „მეორე ოსმალობად“ არის ცნობილი, ოსმალებმა მოასწრეს ჩაეტარებინათ ფისკალური მიზნებით თბილისის ვილაიეთის აღწერა, რის შედეგადაც 1727 წელს შედგენილ იქნა „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (Defter-i Mufasssal-i Vilâyet-i Tiflis), ამჟამად რომ დაცულია სტამბოლში ორ ცალად მინისტრთა საბჭოს არქივში (№ 897/418 და 900/831). „თბილისის დავთარი“ დიდი დავთარია და, რა თქმა უნდა, იგი ისეთივე ფრიად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი ცნობების შემცველია იმ დროის ქართლისათვის, როგორც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ სამცხე-საათაბაგოსათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია სულთნის მიერ გაცემული რამდენიმე ფირმანი, რომელშიც ქართლში ოსმალთა მიერ „ახლად ჩატარებული აღწერის“ (تجدید احصاء) მასალების შემცველი „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ ამოწერილი სოფლები და სხვა მამულები ოსმალური მიწათმფლობელობის წესების მიხედვით „ეზოძება“ მაღალი თანამდებობის ამა თუ იმ ოსმალთა მოხელეს. ამჟამად ჩვენ აქ წარმოვადგენთ ორ ფირმანს: ერთი, № 8, ეხება საბარათიანოში მდებარე სოფლებს — მაწევანსა და სატრედოს, მეორე კი, № 9, — გორის სანჯაყის დაქვემდებარებულ ატენსა და წედისს (პირველი № 8 დოკუმენტი დათარიღებულია 1728 წლით, ხოლო მეორე № 9 — 1727-ით).

¹ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაქარაია, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 199.

² ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნე საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1, 1944, გვ. 179. ისპაჰ ფაშას შესახებ უფრო დანერვილებით იხ. ჩუენი: XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი: თსუ-ს შრომები, ტ. 99, თბილისი, 1962, გვ. 164.

საბარათიანო თურქულ წყაროებში საერთოდ ბარათი¹ (بطا) ცნობილი და, ოსმალთა ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, იგი, როგორც ბარათის ნაჭივე (حاشي, დაახლოებით=რაიონი), თბილისის სანჯაყში შედის. ჩვენი № 8 საბუთის მიხედვით, საბარათიანოს ორი სოფელი მაწევანი და სატრედო შესაბამისად 8,500 და 4,300 ახჩიანი შემოსავლით ებოძება ვინმე აჰმედს. ორთავე სოფლის შემოსავლის ჯამია 12 800 ახჩა. აქედან აჰმედს ერგება ნახევარი 6 400 ახჩა (დოკუმენტში საერთო ჯამის ქვეშ ესეც არის ნაჩვენები), რადგანაც, ამავე თარიღით გაცემული სხვა დოკუმენტის მიხედვით, შემოსავლის მეორე ნახევარი ებოძება ვინმე მუსტაფას (ამ მეორე, № 11 დოკუმენტის გამოქვეყნება ახლა ვერ ხერხდება). საბუთში მოხსენებული სოფ. მაწევანი დღესაც არსებობს თეთრი წყაროს რაიონში (ჩიკეთის სასოფლო საბჭოში შედის)². სოფ. მაწევანი სხვა წყაროებშიც ცნობილია. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში (ალბათ „ოსმალთაშემდეგ“) მაწევანისა და ჩიკეთის მებატონედ დასახელებულია იოსაფათ საგინაშვილი³. ვახუშტისთან ალგეთის ჩეობაში იხსენიება სოფ. მაწევანი⁴. ამავე საბუთის მეორე სოფელი — სატრედო ამ სახელით დღეს არ არის ცნობილი, ვახუშტისთან მოხსენიებულია სატრედო: „სატრედოს, მაშავერზედ შენი არს ხიდი ქვიტიკირისა...“⁵. ამავე სოფელთან უნდა გვექონდეს საქმე ქვემო ქართლში, სადაც დასახელებულია სამტრედო-სატრედო... მაშავერის მარცხენა მხარეზე შწყნეთის დასავლეთით...⁶ სამტრედო (მებატონე—ერასტი ყაფლანიშვილი) მოხსენიებულია აგრეთვე იმავე ქვემო ქართლში⁷.

№ 9 საბუთში ლაპარაკია ატენისა და წედისზე. წედისთან დასახელებულია სოფ. ბნავისი და ერთი სათესველი, რომლის სახელი დამაჯერებლად ამოკითხული არ არის. საერთოდ რომ ფირმან-ბერათები დღევანდის ხელით იწერება, ასეთ საბუთში ვინმესადმი ბოძებული ზოფლები და სხვა მამულების სახელები უთუოდ სიძაჯათის ხელითაა შესრულებული⁸. ატენის სახელით დღეს გორის რაიონსა და ხიდისთავის სასოფლო საბჭოში ორი სოფელია ცნობილი: პატარა ატენი და დიდი ატენი. გორისავე რაიონსა და ხიდისთავის სასოფლო საბჭოში კიდევ ირიცხებიან ზოფლები წედისი და ბნავისი⁹.

თურ d 8. ზომა: 61×43; ხელი: დღევანი; მელანი: შავი და წითელი; თულრა შესრულებულია შავი მელნით, ზედ მოყრილი აქვს ოქროს მტვერი.

საბუთის verso გვერდზე შემდეგი მინაწერებია: მარჯვნივ ზემო კიდეზე — „ქ: ამადს [=აჰმადის] სახელზეა ეს ბარათი [=ფირმანი] სატრედოსი და ჩხი-

3 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბილისი, 1966, გვ. 52.

4 იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწ. III. და IV. თბილისი, 1938, გვ. 169.

5 აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურიისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941, გვ. 196.

6 იქვე, გვ. 40, 192.

7 იას. ლორთქიფანიძე, იქვე, ნაწ. I და II. თბილისი, 1935, გვ. 342.

8 იას. ლორთქიფანიძე, იქვე, III-IV, გვ. 51. აგრეთვე „ქ. პლივანგეის ნას-ყიდი სატრედო“. იხ. ე. თაყაიშვილი: მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერლობისა მე-18 ს-ში“. გვ. 232.

9 იხ. მავალითაძე, „თსუს შრომები“, ტ. 91: XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ, თბილისი, 1960, ტაბულა II.

10 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 35. იქვე, გვ. 37.

[არწერა თულრაზე:] აჰმედ ხან მეჰმედის ძე — მარადის გამარჯვებული

პატრიოანი, მბალღირსეული, ზეციური სამეფო ნიშნისა და ბრწყინვალე და ქვეყნისმპყრობელი, უზენაესი თუღრის ბრძანება ის არის, რომ: თანახმად ჩემი დიდებული და უზენაესი სიგელისა, რომელიც გამოცემულ იქნა იმის შესახებ, რომ უმალღესი ფირმანით ჩატარდეს აღწერა და წესრიგში იქნეს მოყვანილი სოფლები, სათესველები და ადგილ-მამულები თბილისის ვილაიეთისა, რომლის ადგბა და დაპყრობა მბალღი ალლაჰის შეწევობით ჩვენ გებვდა წილად. ამის შესაბამისად თბილისის სანჯაყსა და ბარათის ნაჰიჯეში მდებარე მაწეეანად წოდებული სოფლისა და სხვათა ექვსი ათას ოთხასი ახჩა შემოსავლისა მქონე თიმარი კეთილშობილი ღესთურის, დიდებული მუშრის და ქვეყნის მომწესრიგებლის ჩიღდირის ვიღნიეთის მმართველის, თბილისის ციხისთავისა და ჩემი ვეზირის ისჰაყ ფაშის მიერ — ალლაჰმა ხანგრძლივი ჰყოს მისი დიდებულება — ახალი აღწერის შესაბამისად ათას ას ორმოცი წლის ჯუმად-ალ-ახირენ ოცდამესუთე დღეს [= 1728 წლის 7. 11] ებოძა საშუალო ტანის, კრელთვალეზინანა და შორი-შორაწარბებანა, ამა მბალღი სამეფო ფირმანს პატრონს აჰმედს და მიეცა მას სათანადო რწმუნების ქალღლი. იმ პირობით, რომ თავის სანჯაყში იცხოვროს და თავისი ალაიბევის დროშის ქვეშ ლაშქრობაში გამოვიდეს. ზემოაღნიშნული ექვსიათას ოთხასი ახჩიანი თიმარი განმარტებული წესით, ახალი აღწერის თანახმად და ზემოხსენებული ვეზირის თეზქერეს საფუძველზე აჰმედს გადაეცეო, რაც აქვე აღინუსხება:

სოფ. მაწეეანი — ექვემდებარება ბარათის

8.500 [ახჩა]

სოფ. სატრედო --- ექვემდებარება ბარათის

4.300 [ახჩა]

ჯუმალი — 12.800 [ახჩა].

6.400 [ახჩა].

და ებრძანე, რომ ამიერიდან მის ხელში იყოს და მის უფლებაში იყოს. ისე რომ, საკეთილო და უხვი საფადიშაჰო სამსახურებრივი მოვალეობანი და სამაღლობლო სამსახური სამეფო და ძღვევამოსილი ჯარისაღმი სახელმწიფო დაეთრის შესაბამისად, უნაკლოდ და მტკიცედ შეასრულოს. ამ მხრივ არაეინ ხელი არ შეუშალოს. ასე იცოდნენ, პატროსან ალაშს ენდონ.

კეთილადღაცულ


კონსტანტინოპოლს.

Tur d 9: ზომა: 113X43; ხელი: დნენან-ჯელნენ (داوانى جلیى); მელანი: შავი და წითელი; თულრა: წითელი მელნით.

საბუთის verso გვერდზე მოიპოვება სხვადასხვა შინაარსის მინაწერები: საბუთის ზემო კიდეზე „ქ: ატენისა და წედისის ფარვანი [=ფირმანი], რომე-

ქიქო მანუაშვილი და ატენი თურქულ საბუთებში.
Джиккиа. Манушвили и Атенн в турецких

Tur d



مرعى و مؤدى قلا و زعامتى خلقى مومى اليبى سوباتى باوب سوباشيلفه متعلق امورد
مراحمتى مومى اليه ايدهار اولبايدمه هيچ فرد مانع اولميوب دخل و تعرض قلميه
شويله بلالر علامت شريفه اعتماد قلالر
بمقام سلطانطينه عليه
المحروه

თ ა რ გ მ ა ნ ი :

იგია (აღლწჳა) ყოვლად ძლიერი, აღსაესე, უხვი და ყოვლად შემწე.

[წარწერა თულრაზე:| აჰმედ ხან მეჰმედის ძე—მარადის გამარჯვებული

პატიოსანი, მაღალღირსეული, ზეციური სამეფო ნიშნისა და ბრწყინვალე და ქვეყნისმპყრობელი უზენაესი თულრის ბრძანება ის არის, რომ: როგორც რომ ზა'ნმებისა და სიფჳანების წრეთა კეთილმა მოპყრობამ და კრძალულებამ და დიდებულთა დასის პატივისგებამ და მზრუნველობამ კეთილბუნებოვანი ხაკანები ბედნიერების საყრდენად აქციეს, ამას წინათ გორის სანჯაყსა და გორის ნაჰიეში ატენ და წე დის ად წოდებული სოფლების სარჩო-საკეების წესით მფლობელი მუსტაფა ფაშა გარდაიცვალა და ეს მამული გათავისუფლდა. ამიტომ ახალი აღწერის შესაბამისად, ათას ას ოცდაცხრამეტი წლის რამაზნის თვის მეოცე დღეს [= 1727 წ. 11. V] პატივდებული დესთჳრის, დიდებული მუშნრის, ქვეყნის მომწესრიგებლის, ჩილდირის ვილაიეთის მფლობელის, თბილისის ციხისთავისა და ჩემი ვეზირის ისკაქ ფაშის მიერ — მრავალჯამიერ ჰყოს აღლწჳამა დიდებულება მისი — იჳშლის დავთრის სათანადო შესწორებით, ეს ოცდაერთი ათასი ახჩა შემოწვლის მქონე ზე'ნმეთი ებოძა წყალობის მაძიებელს მის შვილს — საშუალო ტანისა, თვალქრელსა და შორი-შორ წარბებიანს, ამა მაღალღირსეული და სამეფო ფირმანის პატრონსა და თანატოლებსა და თანასწორებში თაეკაცს — 'აღ ნ ს — იმატოს მისმა ღირსებამ — და მიეცა მას რწმუნების ქაღალდი. ამიტომ აღნიშნული ოცდაერთ ათას ახჩიანი ზე'ნმეთი ზემოგანმარტებული წესის მიხედვით და ახალჩატარებული აღწერის შესაბამისად ვუბოძე ზემოხსენებულ 'აღ ნ მუსტაფას ძეს — იმატოს მისმა ღირსებამ — იმ პირობით, რომ თავის სანჯაყში იცხოვროს და თავისი ალაიბეგის დროშის ქვეშ ლაშქრობაში გამოვიდეს, და, ზემოხსენებული ვეზირის თეზქერეს საფუძველზე მიეეცი, რაც აქვე იხსენიება:

სოფ. ატენი უბნებითურთ, ექვემდებარება გორს

შემოსავალი — 15 000 [ახჩა]

სოფ. წე დისი სოფელ ბნაეისი თურთ და სათესველით დაეპირი([?])

შემოსავალი — 6 000 [ახჩა]

ჯუმალი — 21 000 [ახჩა]

და ვებრძანე, რომ ამიერიდან მის ხელში იყოს და მის მფლობელობაში იყოს, ისე რომ, საეეთილო და უხვი საფადიშაჰო სამსახურებრივი მოვალეობანი და სამადლობელო სამსახური სამეფო და ძღვეამოსილი ჯარისაღმი სახელ-

მწიფო დავთრის შესაბამისად უნაკლოდ და მტკიცედ შეასრულოს. ზე'შმეთზე მობინადრე მოსახლეობამ ზემოაღნიშნული ქალწი სუბაში'ად იცნონ და სასუბა-შოსადში განუთენილი საქმეების გამო ზემოხსენებულს მიმართონ. ამ საქმეში არაჲინ არ ჩაეროს და არაჲინ ხელშემშლელი და წინააღმდეგობის გამწევი არ იყოს. ასე რკოდნენ. პატრიოსან ალაშს ენდონ.

მაღალ და კეთილადდაცულ
კონსტანტინოპოლს.
